


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში


_____ კახაბერ კირტავა
„04“ „08“ 2014 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამმართველო

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 9/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	7
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	10
მნიშვნელოვან საკითხთა ბაზგასმა	10
• საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება	10
• გამოყოფილი ტყეკაფის ათვისების მდგომარეობა.....	10
• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა	11
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	14
ანგარიშგების ფორმები.....	15

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა სამმართველოს 2012 წლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამმართველოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამმართველოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - შავი ზღვის სანაპირო ზოლის აჭარის მონაკვეთის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიებების ფარგლებში აშენებული სანაპიროს დამცავი ნაგებობა-ტალღასარი კედელი არ იქნა აღიარებული აქტივად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - შავი ზღვის სანაპირო ზოლის აჭარის მონაკვეთის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიებების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ქ. ბათუმის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებული იქნა 1225,0 ათასი ლარის ღირებულების სანაპიროს დამცავი ნაგებობა-ტალღასარი კედელი. ასიგნება გათვალისწინებული იქნა სხვა ხარჯების მუხლში და არ მომხდარა აქტივად მისი აღიარება.

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის¹ შესაბამისად ტალღასწინააღმდეგო ჯებირებისა თუ ტალღების მშენებლობა ითვლება მიწის მნიშვნელოვან გაუმჯობესებად და შედის მიწის ღირებულებაში. შესაბამისად სამმართველოს დაკვეთით აშენებული ტალღასარინი კედლის ღირებულებით უნდა გზრდილიყო მიწის ღირებულება. იმის გათვალისწინებით, რომ მიწის აღნიშნული ნაკვეთი ქ. ბათუმის მერიის კუთვნილებაა, სამმართველოს მიერ სამუშაოთა მიღების შემდეგ ნაგებობა უნდა გადასცემოდა ქ. ბათუმის მერიას, რაც არ განხორციელებულა.

2. სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ ადგილი აქვს დაკვეთით მიღებული აქტივის საბუღალტრო მონაცემებში არასრულად ასახვის ფაქტს.

2012 წლის 16 ივლისს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოსა“ და შპს „WESTDEVELOPMENT“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც გათვალისწინებული იქნა ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის თიკერის სატყეო-სანერგე მეურნეობის რეაბილიტაციის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა. სატენდერო განცხადებით² სატენდერო წინადადება გათვალისწინებული იქნა დღგ-ს გარეშე, თუმცა ტენდერში გამარჯვება მოიპოვა დღგ-ს გადამხდელმა პირმა, რის გამოც ხელშეკრულების ღირებულება 26,8 ათასი ლარით განისაზღვრა.

ხელშეკრულების შესაბამისად სხვა სამუშაოებთან ერთად გათვალისწინებული იყო ლითონის ავზის მონტაჟის სამუშაოები, რომელიც სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვებში არ არის თანხობრივად გამოსახული. აღნიშნული სამუშაოები ბალანსზე აღრიცხულია მთლიანი ღირებულებით, როგორც ბეტონის საჩითილე და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად მასში არ არის გათვალისწინებული ლითონის ავზის ღირებულება³, რომელიც საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შესაბამისად 2,1 ათას ლარს შეადგენდა

3. სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ ადგილი აქვს არაფინანსური აქტივების ბალანსში არასრულად ასახვის ფაქტს.

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ 2012 წლის ბალანსის ფორმა N3-ში დაფიქსირებულია 56,5 ათასი ლარის ღირებულების უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივები, თუმცა წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის შესაბამისად, უსასყიდლოდ მიღებულია 58,6 ათასი ლარის არაფინანსური აქტივი ანუ ბალანსში დაფიქსირებულზე 2,1 ათასი ლარით მეტი.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ IV. არაწარმოებული აქტივები (314).

² SPA 120018292

³ შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-8 და 24-ე მუხლის 1 პუნქტების მოთხოვნები.

4. სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ არასწორადაა განსაზღვრული 2012 წლის ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონება

საბალანსო მონაცემების შესაბამისად, სააგენტოს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში განლაგებული 267,6 ათასი ლარის ძირითადი აქტივები და 142,1 ათასი ლარის მანქანა - დანადგარები და ინვენტარი, ასევე ბალანსზე ირიცხება 21,9 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მიწის ნაკვეთი, თუმცა 2012 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციით დასაბეგრ ქონებაში გათვალისწინებულია მხოლოდ ქ. ბათუმში მდებარე ქონება, რომელიც აღნიშნული დეკლარაციის შესაბამისად შეფასებულია 47,2 ათას ლარად, ხოლო სააგენტოს ბალანსზე რიცხული მიწა საერთოდ არ არის ჩართული ქონების გადასახადით დასაბეგრ ქონებათა შემადგენლობაში. ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა⁴, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, სამმართველოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“, 203-ე მუხლის „ბ“, და 206-ე მუხლის 1 პუნქტი „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის 2012 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა გარემოს დაბინძურების ფაქტები, რომლებზეც შესაბამისი რეაგირება არ განხორციელებულა. შედეგად ვერ მოხდა გარემოს დაბინძურების აღკვეთა და ბიუჯეტს დასარიცხი საჯარიმო სანქციის სახით პოტენციური შემოსავლები დააკლდა. ამასთან, სამმართველოს არ აქვს ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებულ დარღვევებზე განხორციელებული რეაგირების შედეგების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N147 განკარგულების შესაბამისად, დამტკიცებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2012 წლის მიზნობრივი პროგრამა - აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი. დამტკიცებული პროგრამის მიზანს ზღვის ზოლის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დამაბინძურებელი ობიექტების მონიტორინგი, ხოლო მიზნის მიღწევის შეფასების ინდიკატორად გამოვლენილ დარღვევებზე შეგროვებული მასალების შესაბამის ორგანოებზე გადაცემა და რეაგირება წარმოადგენდა. პროგრამის შესრულების მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, შპს

„სპექტრთან“⁵ და სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიასთან“⁶ გაფორმდა ხელშეკრულებები ატმოსფერული ჰაერისა და წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების ანალიზის ჩატარების შესახებ. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ლაბორატორიული დასკვნების შესაბამისად, გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი⁷ გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე გადაჭარბებული მონაცემების დაფიქსირების შემთხვევაში, მასალები იგზავნებოდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში, რომელიც დადგენილი წესების შესაბამისად აჯარიმებდა გარემოს დამაბინძურებელ სუბიექტს.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი მასალების შესაბამისად დადგენილია, რომ ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბების 17 ფაქტი შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში. შესაბამისი პასუხიმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნულ საქმედებზე ყველა შემთხვევაში მიღებულია გადაწყვეტილება შესაბამისი პირების დაჯარიმების შესახებ, თუმცა აღნიშნულის დოკუმენტური დადასტურება ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, ჩატარებული აუდიტით გამოვლინდა, რომ 2012 წელს, ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის დადგენის შესახებ 6 ფაქტი, ნორმის გადამეტების მიუხედავად არ არის გადაგზავნილი გარემოს დაცვის სამინისტროში. შედეგად ვერ მოხდა გარემოს დაბინძურების აღკვეთა და ბიუჯეტს დასარიცხი საჯარიმო სანქციის სახით პოტენციური შემოსავლები დააკლდა.

რეაგირების გარეშე დატოვებულია:

N	ობიექტის დასახელება	გამოკვლევის ოქმის ნომერი და თარიღი	ნივთიერებათა დასახელება	მაჩვენებლის ფაქტიური კონცენტრაცია	ნორმა ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად	შენიშვნა
1	შპს „გზა“	32 2.07.2012	გოგირდის დიოქსიდი -SO ₂	0.55 mg/m ³	0.5 mg/m ³	ჰაერის კვლევა
2	შპს „სანდასუფთავება“	41 20.07.2012	გოგირდის დიოქსიდი -SO ₂	1,2 mg/m ³	0.5 mg/m ³	ჰაერის კვლევა
			ნახშიროჟანგი - CO	6,5 mg/m ³	5.0 mg/m ³	ჰაერის კვლევა
3	შპს „გზა“	22 30.05.2012	გოგირდის დიოქსიდი -SO ₂	0,882 mg/m ³	0.5 mg/m ³	ჰაერის კვლევა
4	ქ. ბათუმი. ბაქოს ქუჩა (კაფე „კაპიტანთან“)	30 29.06.2012	აზოტის დიოქსიდი-NO ₂	0.92 mg/m ³	0.2 mg/m ³	ჰაერის კვლევა
5	შპს „ნამავი“	516 25.06.2012	შეწონილი ნაწილაკები	70,0 mg/dm ³	60,0 mg/dm ³	წყლის კვლევა
6	შპს „პირამოდა“	987 02.10.2012	საერთო აზოტი	18,0 mg/dm ³	15,0 mg/dm ³	წყლის კვლევა
			ჯამ	28 mg/dm ³	25,0 mg/dm ³	წყლის კვლევა

⁵ SPA120001670. ხელშეკრულება N13. 26.01.2012 .

⁶ SPA120001673. ხელშეკრულება N17. 27.01.2012

⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის N745 ბრძანება. 13.11.2008.

2. სამმართველოში და მისდამი დაქვემდებარებულ სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ არ არის უზრუნველყოფილი მატერიალურ ფასეულობათა დაცულობა. ამასთან ძირითადი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერისას მიღებული გადაწყვეტილებები შეუსაბამოა მოქმედ ნორმატივებთან, რაც აქტივების არასწორად შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოვლენილი იქნა სამმართველოს ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი და უვარგისი ქონება, რომელიც ამავე კომისიის დასკვნების შესაბამისად ექვემდებარებოდა ბალასიდან ჩამოწერას. კომისიის დასკვნის შესაბამისად, ბალასიდან ჩამოწერას დაექვემდებარა 73 დასახელების 8,5 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივები და 49 დასახელების 2,8 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მცირეფასიანი ნივთები. საინვენტარიზაციო კომისიის 2012 წლის 29 ივნისის N3 ოქმის შესაბამისად, უვარგისი და ხმარებიდან გამოსული ძირითადი აქტივების ლიკვიდაცია-განადგურების შედეგად მიღებული იქნა 12,2 ათასი კგ შავი ლითონი, რომელიც დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 3,7 ათას ლარად შეფასდა. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ჩამოწერილი ძირითადი აქტივების განადგურების შედეგად მიღებული შავი ლითონის ჯართის წონა ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა და არაგონივრულად მცირე წონით იქნა შეფასებული. კერძოდ: „ტ-16“- ტიპის ტრაქტორის ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ჯართის წონად დაფიქსირებულია 300 კგ, ავტომანქანა „ზილ-131“-ის შემთხვევაში -150 კგ და.ა.შ.

სამმართველოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, შავი ლითონის ჯართის აღნიშნული მაჩვენებელი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ჩამოწერილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები ფაქტიურად განადგურებული იყო და წარმოდგენილია აღნიშნულის ამსახველი ფოტომასალა, თუმცა დოკუმენტურად ვერ დასტურდება ფოტოზე აღბეჭდილი სატრანსპორტო საშუალებებისა და სამმართველოს მიერ ჩამოწერილი ავტომანქანების იდენტობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად გაირკვა, რომ ჩამოწერილი 10 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება სატყეო რესურსების მართვის განყოფილებების რეორგანიზაციის შედეგად, „სახელმწიფო ორგანოსათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის

გაფორმების გარეშე⁸, 2010 წლის ივნისის თვეში გადაეცა სამმართველოს სარგებლობაში. მიღებული აქტივები იმავე თვეში გადაცემულია სამმართველოს დაქვემდებარებულ რაიონულ განყოფილებებზე, თუმცა ქონების მიღება-გადაცემისას, ქონების განადგურების ფაქტები არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ როგორც სამმართველოში, ასევე სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ მატერიალურ პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ,⁹ რაც მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს კუთვნილი ქონების დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გამხდარიყო.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებულ სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ მატერიალურ პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.¹⁰

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ არ წარმოებდა სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვა, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს¹¹.

• გამოყოფილი ტყეკაფის ათვისების მდგომარეობა

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად 2012 წელს სოციალური ჭრების სახით გამოყოფილი იქნა 146,4 ათასი კუბ.მ ტყეკაფი, საიდანაც ათვისებულია 86,2 ათასი კუბ.მ ანუ 58,9%. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს 12.6 ათასი ლარით გაიზარდა და 50.2 ათასი ლარი შეადგინა იმ ფიზიკური პირების

⁸ შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის N 246 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ორგანოსათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები

⁹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტის მოთხოვნები.

¹⁰ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტის მოთხოვნები.

¹¹ დარღვეულია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 30-ე მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნები

კრედიტორულმა დავალიანებამ, რომლებსაც გადახდილი აქვთ მომსახურების გადასახადი და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი და ამავე დროს მათ მიერ ტყით სარგებლობა არ განხორციელებულა.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2012 წელს დაფიქსირებულია ტყის სარგებლობის წესების დარღვევის 229 ფაქტი, სადაც აღრიცხულია 830.89 კუბ.მ ხე-ტყის უნებართვო ჭრის ფაქტები. გარემოზე მიყენებული ზიანი 60,7 ათას ლარს შეადგენს.

გამოვლენილი უნებართვო ჭრებიდან კონკრეტული დამრღვევები გამოვლენილია 228 შემთხვევაში, რის შესახებაც მასალები რეაგირებისათვის გადაცემულია ბუნებრივი რესურსების სააგენტოს აჭარის სამსახურში. გამოსავლენი რჩება 1 შემთხვევა ხულოს სატყეო ადმინისტრაციის მიერ გამოვლენილი 2.38 კუბ.მ ხე-ტყის უნებართვო ჭრასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სამმართველო არ ფლობს ინფორმაციას ბუნებრივი რესურსების სააგენტოს აჭარის სამსახურში გადაცემულ მასალებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ.

ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2012 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 3768,6 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 3721,3 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 98,7 პროცენტია. სამმართველოს სისტემაში შემავალი სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ საბიუჯეტო პარამეტრების გათვალისწინებით ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს აპარატი	1000,2	997,9	2.3	99.8
აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიზნობრივი პროგრამები	12,1	12,0	0.1	100
შავი ზღვის სანაპირო ზოლის აჭარის მონაკვეთის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიება	1483,2	1483,2	0	100
სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“	1273,1	1228,3	44.8	96,5
ჯამი	3 768.6	3721.4	47.2	98.7


ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2012 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულება მოცემულია ცხრილის სახით

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დასახელება	2012 წლის ბიუჯეტი		2012 წლის ხარჯები		გადახრა ფაქტ.ხარჯსა და გადახდას შორის		გადახრა გეგმა- საკასო	შესრ. %
	დამტკ.	დაზუსტ.	საკასო	ფაქტობრივი	მეტობა	ნაკლებობა		
სულ ხარჯები								
1. ხარჯები	3665.5	3665.5	3619.1	3787,1	168.0		46,4	98.7%
მათ შორის								
1.1 შრომის ანაზღაურება	718,2	718,2	718,2	718,2			0	100%
1.2 საქონელი და მომსახურება	205,1	205.1	203.2	202,9		0.3	1.9	99.1%
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება				92,7	92.7			
1.5. სუბსიდიები	1254,1	1254,1	1211,2	1208.8		2.4	42.9	96.6%
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	5,0	5,0	3,4	3.4			1.6	68%
1.8 სხვა ხარჯები	1483,2	1483,2	1483,2	1561.2	78.0		0	100%
არაფინანსური აქტივების ზრდა								
2. სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	103.0	103.0	102.2				0.8	99.2%
სულ	3768.5	3768.5	3721.3		168.0		74492	98,7%

სხვაობა 2013 წლის ფაქტობრივსა და საკასო ხარჯების შორის ავანსად გადარიცხულ თანხებზე მოდის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2011 და 2012 წლების საკასო ხარჯების შედარების დინამიკა:

ათასი ლარი



წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ სამმართველოს (ნაერთი ანგარიში) 2012 წლის ხარჯები, გასული წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება, კერძოდ:

✓ გაზრდილია: თანამდებობრივი სარგო - 294,0 ათასი ლარით, პრემია - 108,9 ათასი ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -8 ათასი ლარით, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი - 12,8 ათასი ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 12,5 ათასი ლარით, სუბსიდიები - 1211,2 ათასი ლარით, სოც. უზრუნველყოფა - 0,7 ათასი ლარით და სხვა ხარჯები - 1483,2 ათასი ლარით. ხარჯების აღნიშნული ზრდა სამმართველოს სისტემაში სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მოქცევამ განაპირობა.

➤ 2011 წელთან შედარებით სამმართველოს აპარატში გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლი 131,0 ათასი ლარით. შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯებიდან 271.9 ათასი ლარი გაცემულია პრემიის სახით, რომელიც მთლიანი შრომის ანაზღაურების 37.9% შეადგენს. წლიური მონაცემების შეჯამებით, პრემიების გაცემა ხდება ყოველთვიურად თითოეულ თანამშრომელზე 50%-ის ოდენობით, ხოლო ყოველკვარტალურად - 100%-ის ოდენობით.


➤ 2012 წლის მივლინების მუხლით გაწეული ხარჯები 5.3 ათას ლარს შეადგენს, რაც 2011 წლის მაჩვენებელზე 4.2 ათასი ლარით ნაკლებია. სამივლინებო ხარჯების უმეტესი წილი ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯების ანაზღაურებისათვისაა გაწეული.

➤ 2012 წელს, სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“, სამმართველოს სისტემაში შესვლასთან დაკავშირებით, სუბსიდიის მუხლით გათვალისწინებული იქნა 1211.2 ათასი ლარი, რითაც დაფინანსებული იქნა სააგენტოს 2012 წლის საბიუჯეტო ხარჯები.

➤ სხვა ხარჯების მუხლით 2012 წელს გაწეულია 1483.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც შავი ზღვის სანაპირო ზოლის აჭარის მონაკვეთის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა..

➤ სამმართველოს 2012 წელს არაფინანსური აქტივების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 102.2 ათას ლარს შეადგენს, რაც 71.8 ათასი ლარით მეტია 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე და წლიური დაზუსტებული გეგმის 99,2 პროცენტია.

აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2012 წლის საკასო ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებთან მიმართებით წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით:



აუდიტის პერიოდში სამმართველოს აპარატის მიერ გამოცხადებული იქნა 13 ტენდერი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხელშეკრულებები გაფორმდა 9 შემთხვევაში, უარყოფითი შედეგით დასრულდა 1 და ტენდერი არ შედგა 3 შემთხვევაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული 193 ხელშეკრულებიდან 4 შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, 9 შემთხვევაში - ელექტრონული ტენდერის საშუალებით და 180 შემთხვევაში - გამარტივებული შესყიდვით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

4. 08. 2014 წ.

გურანდა გვაზავა /აუდიტორ ასისტენტი/

4. 08. 2014 წ.

რამაზ დიასამიძე /აუდიტორ ასისტენტი/

4. 08. 2014 წ.

ანგარიშების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

(ნაერთი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

ორგანიზაციის დასახელება

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	78836	50362
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		5586
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	125	125
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430	78000	
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	არაფინანსური აქტივების მიმართ მოთხოვნები	1450		1791
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		304
320		1470		8891
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	9912	4269
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
